

პაციენტის ინდივიდუალური უფლებების დაცვის ეთიკური და
სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

გოგუა თამარი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ კიკნაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გოგუა

2014 წლის 25 იანვარი

აბსტრაქტი

სამედიცინო მომსახურების ადეკვატური ხარისხი გულისხმობს ქვეყანაში პაციენტის უფლებების დამცავი ეთიკური სტანდარტებისა და საკანონმდებლო ნორმების ფორმალიზებული სისტემის არსებობას, სამედიცინო პერსონალის ინფორმირებულობას მათ შესახებ და იმპლემენტაციას ყოველდღიურ საქმიანობაში.

შრომის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი, პაციენტის ინდივიდუალური უფლებების ამსახველი ეთიკური და საკანონმდებლო დოკუმენტების ანალიზი და მათში ასახული სტანდარტების გამოყენების შესწავლა ექიმების მიერ. შესაბამისად, კვლევის ამოცანები იყო: ა) ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობაში ინდივიდუალური უფლებების ამსახველი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ანალიზი; ბ) სამედიცინო ეთიკასთან დაკავშირებული, დოკუმენტების ანალიზი; გ) სამედიცინო პერსონალის ინფორმირებულობის შესწავლა პაციენტის ინდივიდუალური უფლებების ამსახველი ეთიკური სტანდარტებისა და საკანონმდებლო ნორმების თაობაზე.

გაანალიზებულია საქართველოს კონსტიტუცია, ევროსაბჭოს „კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, აგრეთვე, „საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსი“. სტანდარტული კითხვარით გამოკითხულია 60 რესპოდენტი - ზოგადი პრაქტიკის და სხვა სპეციალობის ექიმები. კვლევის წარმოებისას გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის ანკეტირების მეთოდი.

კვლევის შედეგების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობაში სრულად არის ასახული მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებების დაცვის უზრუნველყოფი ნორმები. ამასთან, ეს ნორმები სავსებით შესაბამეა ევროსაბჭოს კონვენციაში ასახულ რეკომენდაციებს. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ექიმის ეთიკის კოდექსში ასახულ დებულებებზე.

ექიმების გამოკითხვის შედეგების ანალიზი მიუთითებს, რომ ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის მოდელი ხშირ შემთხვევაში პაციენტზეა ორიენტირებული; მაგალითად რესპოდენტთა 77% მზად არის ქმედუნარიან პაციენტს მიაწოდოს სრული ინფორმაცია

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 79 % მართებულად მიიჩნევს, რომ პაციენტი გაეცნოს ავადმყოფობის ისტორიას. გამოკითხულთა 84 % იზიარებს მოსაზრებას, რომ პაციენტისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება საექიმო საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ის უნდა იყოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვის აქტიური მონაწილე. განსხვავებული შედეგები აღინიშნა ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობასთან მიმართებაში. ექიმების 63 % მიიჩნევს, რომ პაციენტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გაზიარება დასაშვებია მხოლოდ ექიმისთვის, რომელიც იღებს მონაწილეობას სამედიცინო დახმარების გაწევის პროცესში; ამავე დროს რესპოდენტთა 40 % მზად არის კოლეგას, რომელიც არ მონაწილეობს პაციენტის მკურნალობის პროცესში, გაუზიაროს ინფორმაცია თუ მას დაესვა არასტაბილური სტენოკარდიის დიაგნოზი. იმ შემთხვევაში, თუ დიაგნოზი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებაა, რესპოდენტთა 12 % თვლის, რომ გაუზიარებს კოლეგას დიაგნოზს და 88 % - არა. ამრიგად, კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპის გამოყენება გარკვეულწილად დამოკიდებულია ამა თუ იმ დაავადების არსებობა-არარსებობაზე. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 65 % -მა იცის, რომ კანონი ექიმს ავალდებულებს სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს პაციენტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; კითხვაზე ავალდებულებს თუ არა ექიმს კანონი დაიცვას საექიმო საიდუმლო, დადებითად მხოლოდ 70 % პასუხობს. კვლევის შედეგები ცხადჰყოფს, რომ საექიმო პერსონალის ცოდნის დონე პაციენტის ინდივიდუალურ უფლებებთან დაკავშირებული სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების თაობაზე არასრულყოფილის. ხარვეზის გამოსწორების ძირითადი საშუალებაა ექიმების უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების ჩართვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პაციენტის უფლებები, ჯანდაცვის სფეროს კანონმდებლობა, სამედიცინო ეთიკა

Abstract

Relevant quality of medical service implies the existence of formal system of ethical standards and legal norms protecting the rights of patients, awareness of medical staff about the system and its implementation in daily activities.

The aim of paper was to analyze the ethical and legal documents on the individual rights of patients in Georgia and the study the application of these standards by doctors. Correspondingly, the objectives of study were: a) To analyze Georgian legislation concerning the rights of patients; b) To analyze the documents related to medical ethics; c) To study the degree of awareness of medical personnel about the ethical standards and legal norms on the individual rights of patients.

The following documents were reviewed: the constitution of Georgia, Council of Europe Convention on human Rights and Biomedicine”, laws of Georgia of Healthcare, Patient’s Rights, Medical Practice, as well as The Physician’s Code of Georgia. 60 respondents were questioned using standard questionnaire – including general practitioners and doctors in other specialties. The method of quantitative survey was used.

The analysis of the study results revealed that Georgian legislation on healthcare fully reflects the individual rights of citizens in healthcare. Further, these norms completely correspond with the recommendations described in the CoE convention. The Code of physicians similarly describes these principles.

The results of physician’s survey shows that the doctor-patients relationship model is mostly oriented on the patient. For instance, 77% of respondent is ready to provide full information to patient about the patient’s health condition, 79% finds it right to provide history of illness to the patient. 84% of respondents agree that provision of full information to patient is an inseparable part of medical practice and the patient shall be an active participant in managing own health.

The case is different concerning the protection of confidentiality. 63% of doctors think that the information about patient can be disclosed only to the doctors participating in the provision of medical service to that particular patient; at the same time 40% of respondents are ready to disclose this information to non-participant doctors in case of unstable stenocardia diagnosis. In case of STD diagnosis, 12% will disclose the diagnosis to the colleague and 88% - will refrain. Thus, the principle of confidentiality will be applied depending on the presence-absence of particular disease. It shall be considered that only 65% of questioned is informed about the responsibility of a doctor to provide full and comprehensive information to the patient about the health condition. Only 70% of questioned has positively replied to the questions on keeping medical secret. The results of the study showed that the level of knowledge of medical personnel on the legal norms and ethical standards related to individual rights of patients is not sufficient. To address the problem it is reasonable to introduce courses on the mentioned issues into the Continuing medical education system.

Key Words: Patient’s Rights, Healthcare Legislation, Medical Ethics.